


3 110.

1920!



ქვემოთა

სტუდენტობა

თბილისის სასწავლებლო უნივერსიტეტის

სტუდენტთა ორგანო



26 იანვარი 1920 წ.

№ 1

სტუდენტთა დღე

დღევანდელი დღე 'სეიმისა და ხეტარის სისარულის განცდის დღეა!.

იგი ღირსსხანობი და შესანიშნავი დღეა მოელი ქართველი ერის და კერძოდ ქართველ სტუდენტთა ცხოვრებაში, რადგანაც სწორედ ამ ორი წლის წინეთ (იანვრის 26-ს 1918 წ.) აღბრუნდა სახუკვარი სრახვა, სინამდვილედ იქცა ოცნების ახრთა და ფიქრთა სვეულში სახუელი ხეტარი იღეა: სამირველი საეკარა ხვენი ეროვნულ-კულტურული ცხოვრების ბუკავებისა და აღორძინების კერძს, მეცნიერების უმაღლეს ტამრს,—ქართულ უნივერსიტეტს.

ქართულ უნივერსიტეტს უადრესი შიშხელობა აქვს როგორც ხვენი ეროვნული, სულიერი და მატერიალური კულტურის, ისე მის სახელმწიფოებრივი ცხოვრების განმტკიცებასა და გამაგრების საქმეში. ხვენი უნივერსიტეტი მტკიცე, ურვევ საპირველად უნდა დაედოს ხვენი სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას და ეროვნულ აღორძინებას. მან უნდა გამოსჭედოს თავისუფალ, განახლებულ მომავალ საქართველოს ბედი.

ეს დღე მნიშვნელოვანი და დიდი განსაკუთრებით ქართველ სტუდენტობისათვის, რადგან ამ დღიდან მას მიეცა სამუალება სამშობლო მხარში, მშობლიურ ენაზე დაეწავოს მეცნიერების: წყაროს და მშობლიურ ნიადაკზე შეითვისოს მეცნიერების ცხოველ-მოყოველ მუქით კაბრწეინვებული და გაცისკროვნებული ღრმა და საუყუბლიანი ცოდნა.

ამ ღირსმეხანძნავ დღის სადღესასწაულოდ ქართველი სტუდენტობა მართავს „სტუდენტთა დღე“-ს და თვის უსახღვრო სისარულის და აღტაცების განცდას 'სეიმით ამცნობს მოელ ქართველ ერს.

ქართველი სტუდენტობა ეოველთვის იყო გამსჭვალელი მშობლიურისადმი სიყვარულის უწმინდეს გრძნობით. ღროის სახვრძლივობამ და უკიდურესმა დეხამ უცხო მხარეში ვერ საჭვლას ის დიადი სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა, რომელიც ცაცსლებრივის გხვებით დვივოდა მის გულში. სამშობლოს უკიდურეს განაჭირის და სამხელ სავრონის კამს ქართველი სტუდენტობა უწმინდეს მოვალეობის ღრმა მკვებობით დადვა ერის თავისუფლების მოწინავე სადარბჯოლზე და თავგანწირვით იბრძოდა სახელივხად.

დღეს, როდესაც სამშობლოსის სამხელი განსაცდელი ასცდა თავი-

დან. ქართველი სტუდენტობა მცნობების ტაძარს დაუბრუნდა. გულისტყვნით უნდა აღინიშნოს, რომ მუცხედ მწვავე, მძიმე და აუტანელ ზირობებში უხდება სტუდენტობას ცხოვრება, მცნობიერი მუშაობის წარმოება, მავრამ ხუფ გვეჯრბ, რომ სულ მალე გაივლის ეს კარდამავალი ხანა და დადგება დრო ერთს მძვილაბიანი ცხოვრებისა. მამინ ქართულ სტუდენტობას მიეცემა სრული სავალეება მოელი თავისი ინტელექტუალური ენერჯია დრმა ცოდნის მუქენს მთანდომოს და სრულის წახით კარდამავლოს, ამქდაუნოს თვისი ნიჭი და უხარი.

ხუფ იმ მტკიცე და დრმა რწმენით ვართ აღჭურვილნი, რომ ქართული უნივერსიტეტის სავალეებით მრავალ სავუქნეთა განსავლობაში განმტკიცებული ხუფი დიადი ერთვსული კულტურა კვლავ ავბავდება და ქართველი ერთს მადელი ნიჭის სულიერი, ინტელექტუალური

მი მოქმედება მოლიანად გარდაიღება მოელს თვის მრავალსახეობაში. ხუფ დრმად ვეწამს, რომ ქართული უნივერსიტეტი მტკიცე სემირკვლად დაეკება ერთს სულიერკულტურულ ავბავებას, აღიარბიხებას და კარდაიქცევა იმ ბრწუნვალე მახათობელ ვარსკვლავად, რომელიც თვის ცხოველ-მოთველ სხივებით უნდა დაკამუქებდეს მონობის ხუნდებ აურილ თავისუფალ საქართველოს ერთვხულ კულტურის კვრას და დიადის სხივებით აცისკროვებდეს მას...

ხუფი მუერეველი რწმენა და იმედია, რომ ქართველი სტუდენტობა ზირნათლად აასრულებს იმ დიად მოვალეობას, რომელსაც ავისრებს მონობის მძიმე უღლიდან დაღწეული, განთავისუფლებული მრავალ ტანჯული მვირფასი სავმობლო!..

მამ გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს, ქართულ უნივერსიტეტს და ქართულ სტუდენტობას!..

ს ტ უ ღ ე ნ ტ ო ბ ა

თვით უკვლავება შშვენიერსა
სულში მღვოპარებს.

6. ბართათაშვილი.

შშვენიერია, წარმტაცია სტუდენტობა, მიტომ რომ ის ყრბობის, ახალგაზრდობის დროსთან არის დაკავშირებული! ახალგაზრდობას დროს, როდესაც ცნობრების მახერალი ხელი ჯერ არ მოვხვედრია, აღტაცებით უყურებ მის აღელვებულ ზღვას და გწამს, ეეჰვე ეად გწამს, რომ გაი-

მარჯვებ. ის ყრბობის ეამია, როდესაც ადამიანი ყოველ შესაძლებლობას გრძნობს, თვალწინ ფ.რთო ასპარეზი აქვს და აწყოფიწროდ არაა შემოფარგლული: იგი განუსაზღვრელად ეჩვენება გრძნობა-გონებას. სტუდენტობის დრო არის ადამიანის პიროვნების ზრდა-დამწიფების, გა-

ფართოების, გაღრმავების, ყველაფერი გენტიერესება, ყველაფერს ყურადღებით ეპყრობი და სიამით ისრუტავ გარე ქვეყანას. არც ერთი ნაცნობი არ გავიწყდება მაშინ. ყოველი პიროვნება შენად მიაგანია. უკადურესი რეალისტი იქცა პაღ უფრო მეოცნებეა, ვიდრე თითონ ჰგონია. იქ ხდება წაინდა ზიარება ცხოვრებით. სიკოცხლის გაზაფხულია სტუდენტობა და მიტომ არას იგი ლაშაზი!

ვის შეუძლიან სავსებით ასწეროს ეს ხანა თავის ცხოვრებისა? ძნელია ამ საგანზე წერა. აქ უძღურია კალამი პუბლიცისტის, ჟურნალისტისა. აქ საჭიროა მხატვარი, ძლიერი, დიდა მხატვარი. მაგრამ ყველაზე მეტად ძნელია ქართველ სტუდენტობაზე წერა. მიტომ რომ მისი პიროვნება არ წარმოადგენდა ჩამოქნილ, გარკვეულ სახეს, ისევე, როგორც ქართველი ინტელიგენციისა. ტყუილად კი არ გაურბოდა ქართველი მწერალი მის განსახიერებას: ქართველი ინტელიგენტის ტიპი აქამდე არ ყოფილა, იგი ეხლა უნდა დაიბადოს მხოლოდ.

ქართველი სტუდენტი თითქმის ყველაფრით განსხვავდებოდა რუსის სტუდენტობაში: გარეგანი ცხოვრებით, შინაგანი სულიერი არსებით. მაგრამ ეს განსხვავება იყო იმ ზომის, რანაირი განსხვავება საერთოდ ქართველსა და რუსს შორის ისახებოდა.

შორს გარდახვეწილი ქართველი ახალგაზრდობა უფრო მჭიდროდ იყო შეკავშირებული რუსეთში, ვიდრე თავის სამშობლოში. და როგორც წინილება კრუხის გარშემო, ქართველი სტუდენტობა შეუდამ ერთი რაიზე ორგანიზაციის გარშემო იყო შემოკრებილი. იყო ეს სამეცნიერო წრე თუ სათვისტომო. ბევრს აკვირდებდა ის მკადრო კავშირი, ქართველ სტუდენტობას რომ ჰქონდა ერთმანეთში. ეს კავშირი არ ირღვეოდა იმ შემთხვევაშიც, როდესაც შიგნით გაძლიერებული

პარტიული შეხლა—შემოხლა და ბრძოლა იყო. შორიდან სტუდენტობა გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა მშობელი ერის მაჯის ცემას, მისი გულის ძგერა ყოველთვის მასთან იყო და ეს მან დაამტკიცა სამშობლოს განსაცდელის ეამს, როდესაც თავგანწირულად იბრძოდა ქართულ ჯარში მტრების წინააღმდეგ. მტკიცე კავშირი არ უშლიდა ხელს სხვებთანაც კარგი განწყობილება ჰქონოდა. ამ მხრით დიდი განსხვავება იყო მავალითად ქართველ და პოლონელთა შორის.

პოლონელი სტუდენტი თითქმის ყოველთვის განკერძოებული იყო და იშვიათად დაუახლოვდებოდა სხვა ეროვნების ახალგაზრდობას. მან საკუთარი იერი მისცა სტუდენტურ ფორმასაც კი, იგი გულ-ჩათხრობილი, განდევილი იყო. პოლონელი სხვა ეროვნების სტუდენტთან ლაპარაკსაც კი ერიდებოდა. ქართველი ამ მხრით გულგაშლილი იყო და არავის უკადრისობდა. იგი მზურვალე მონაწილეობას იღებდა ყოველგვარ პოლიტიკურ გამოსვლებში. ეს მონაწილეობა არ იყო ყოველთვის შეგნებული, ხშირად, ძალიან ხშირად, ეს ჰხდებოდა ანზდელად, წინასწარ შეუშხადებლად. ტემპერამენტი ბევრჯერ გონებას აპარცხებდა.

ქართველი სტუდენტი უახლოვდებოდა განსაკუთრებით ბილო ხანებში, დაჩაგრულ ერების შევილებს. და უნდა ითქვას, რომ მათში იგი განირჩეოდ: ერთნაირ პოლიტიკური სიმწიფით. მას უფრო ნათლად ჰქონდა ჩამოყალიბებული მიზნები, ვიდრე მის აშხააგებს. ამას გრძნობდნენ, მავალითად უკრაინელები. მახსოვს ერთი შემთხვევა კიევში, 1913 წლის გაზაფხულზე.

უკრაინელებმა შევჩენკოს ხსოვნის პატივსაცემი საღამო გამჰპარეს. ამ საღამოს მრავალი ქართველი სტუდენტიც დაესწრო, რამაც უკრაინელები ძალიან გაახარა. მაშინ კიევში გამოდიოდა უკრაინ-

ნული გაზეთი „რადა“. ამ საღამოს შთაბეჭდილებანი მე დაწერე რუსულად. რედაქციამ სიამოვნებია გადათარგმნა და დაბეჭდა. მეორე დღეს რამდენიმე უკრაინელი სტუდენტი მოვიდა ჩემთან და ისეთი გულწრფელი, მზურვალე მადლობა გამამიხადეს, რომ მე გავოცდი. ქართველებში ისინი ჰხედავდნენ უფრო პროგრესიულ, შეკავშირებულ ძალას და შემოგვნატრიდნენ კიდევ!

და რანაირი იყო ჩემი განცვიფრება, თან აღტაცება. როდესაც ეხლა, რევოლუციის ეაშს უკრაინა ფეხზე წამოღვა და ეროვნულმა მოძრაობამ იქ მძლავრი, სტიქიონური ხასიათი მიიღო! გრძნობდნენ მაშინ უკრაინის მესვეურნი ამის შესაძლებლობას? არა მგონია.

ქართველ სტუდენტობას ერთი რამ ახასიათებდა, არ ვიცი რა დავარქვა ამ თვისებას, არც ის ვიცი, ნაკლია იგი თუ ღირსება.

რუსეთში სტუდენტის სახელი მომზიბლველა იყო. სტუდენტობა წარმოადგენდა საუკეთესო, პროგრესიულ ნაწილს ინტელიგენციისას. მას ჰქონდა განსაზღვრული ტრადიციები და ეს ტრადიციები ლამაზი, ახალგაზრდური იყო. რუსის სტუდენტობა თავის მშობელ წრეზე მაღლა იდგა ყოველთვის, იგი თითქოს ცალკე კლასს წარმოადგენდა (მე უკანასკნელ წლების სტუდენტობაზე არ მოგახსენებთ). მას სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობოდნენ ყველანი.


ქართველ სტუდენტობა თითქმის არაფრით განსხვავდებოდა იმ წრეში, საიდანაც გამოსულიყო. ბევრი საკითხი (ოჯახის, პირადი ცხოვრების) რომელსაც რუსის სტუდენტი უტყვეროდა თავისუფლად, გარკვეული ჰქონდა შეხედულება, ქართველისთვის არც კი არსებობდა. ამ მხრით რუსის სტუდენტს უფრო მეტი შინაგანი კულტურა ეტყობოდა, სამაგიეროდ ქართველი უფრო ახლოს იყო

თავის ხალხთან მთელთ თავის სულიერ არსებით, თუცა იგი არსება ბევრჯერ მაინც და მაინც დიდი დონისა არ ყოფილა.

ქართველობაში სტუდენტობა არ წარმოადგენდა განსაზღვრულ, ჩაპოალიბებულ ჯგუფს. ამიტომ მას არ ჰქონდა განსაკუთრებული ტრადიციები, ან ცხოვრება—ქართველი ხალხის დასანახად. შეიძლება იმიტომ რომ ქართველი ახალგაზდობა თავის სტუდენტობას სამშობლოს გარეშე ატარებდა?

ეხლა მდგომარეობა შეიცვალა. ქართველ ახალგაზდობას საკუთარა მეცნიერების ტაძარი აქვს და მანაც იგი უნდა დააფასოს. თავისუფალ საქართველოში ქართველმა სტუდენტმა მაღლა უნდა ასწიოს განათლების ჩირაღდანი და კოდნის სხივებით გაანათოს სამშობლო ისევე, როგორც აქამდე პოლიტიკური შეგნებით ანათებდა. ქართველ ინტელიგენციას სულს რუსის უნივერსიტეტის ცხოვრების დაღი აზის, იმ ცხოვრებაა ბევრი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ ბევრი ღარებაც. თავისუფალ საქართველოს ახალგაზდობას, მის ინტელიგენციას, რადესაც თავის სიყრმის კარგ მარეებს მოგონებს, უკეთესი მომავლას მოლოდინში, ღიმილით მხოლოდ მწერლის სიტყვები შეუქლიან გაიჰეაროს: Хороша старина, да и чортъ съ ней! .

ქრისტ. რაჭველიშვილი.



26 იანვარი.

ჩვენი ხალხი და სამშობლო თავისებური ყოფა-ცხოვრების მქონეა. დროთა და საუკუნეთა სრბოლაში ისტორიული ნემეზიდა ახალაახალ კონიუნქტრას უშხადებდა და ძალა-უნებურად აგუებდა მას. მრავალი უკულმართი, შაშის ზარდაცემი,

წელში ვაძტება და სასოწარკვეთის მომგვრელი მომენტები მიუნიჭებია და განუცდევინებია ისტორიული ბორბლას ტრაალს ჩვენის ქვეყნისათვის. მაგრამ ჩვენი ისტორიული ცხოვრების ეტაპებში არაოდეს არ ყოფილა სრულიად წარშლთა მომავლის იმედისა და არც წუთიერზე მეტი განცდა სასოწარკვეთისა. ეს იმიტომ, რომ ჩვენს ერში იმთავიდანვე იყო ჩანასახი ვაგაკცურის ძლიერებისა და სამუდამო სურვილი ცოდნის შეძენისა. ამ ორმაგ თვისებათა გამო — იმპრავალ რიცხოვან ბორბტ-განზრახვების, სურვილებსა, ვერ აღმიფხვრეს, ვერ წარშალეს სახე ჩვენის ერისა. ჩვენ ჯერ კიდევ თვალწინ გვიდვას ის შავი კოშმარი, ხელფეხს რომ უკრავდა და გასაქანს არ აღლევდა ჩვენი ერის საკეთარს მიძინარობას. მაგრამ ის შავი ძალებიც მოგვრებულთა და მოშორებულთა გვეყანან დღეს. და ეს ფაქტია. ჩვენი იმედია, ჩვენი დიდახნის სურვილი. განახლების გზაზე შედეგები ჩვენმა ერმა. ამისთვის საჭიროა: მიღება, შეთვისება ყოველ მხრივი ცოდნისა და სულიერა სიფაქიზის განვითარება. ცოდნა — საბელმძღვანელო და მატრიალზელი ღერძი ჩვენის ცხოვრებისა, იგია წამალთა დაავადებულთა სულის განკურვნისა და ამიტომ ქეშმარიტი ცოდნა არის ჩვენი არსებობის სანუკვარი მახანი და ამ ცოდნის მიღებისათვის, მისი საყოველთაო შეთვისებისა და ვავრცელებისათვის ამ ორი წლის წინად, დღეის დღეს გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი. და დღე ამ უნივერსიტეტის გახსნისა, 26 იანვარი, განსაკუთრებითი, ღორსშესანიშნავი და ისტორიული დღეა ჩვენი ერის ცხოვრებაში. 26 იანვარს ჩვეყარა საძირკველი ჩვენი უმაღლესი მეცნიერების ტაძარს, მაგრამ ეს არ იყო დღე მარტო მეცნიერების დაწაფვის, არამედ აქ იყო ლტოლვისა და სურვილის მომენტიც ეროვნული ცხოვრების სახეობის მიღებისა და შენარჩუნებისა.

ეს ორმაგი მნიშვნელობა ქონდათ დასახული მიზნად ამ ორი წლის წინად მეცნიერების უმაღლეს ტაძარს რომ უყრიდენ საძირკველს. შეცნობა, შესწავლა, დაბრუნება თავის თავისა და აღტურვა ქეშმარიტის ცოდნით — ამ საბელმძღვანელო აზრი 26 იანვარს უნივერსიტეტის დაარსებისა.


და ქეშმარიტად უნივერსიტეტის შეშაობაში მიზანს უნდა მაღწიოს. განახლებული, განთავისუფლებული ერის ცხოვრებაში იგი უნდა შეიქმნეს აუზი — მოცეპი მაღალ ინტელექტუალურ ძალოთა. სანუკვარ გეზს რომ მისცემენ ეროვნული ცხოვრების ბუნებრივ თავისებურებას. 1918 წლის 26 იანვრიდან იწყება ჩვენი ერის გულშემატკივარ-მოქირნა-უღოთა ზრდა და გამრავლება; ამ დღიდან ფართოვდება და ივსება ქართულის ცოდნისა და ქეშმარიტების წყარო. შარშანწინდელი 26 იანვარია — პირველი ნაკადია, საიდანაც მარად გაჰს უნდა იმუხჩებოს მაღალ აზრობა და გრძნობათა ჩქეფვა. 26 იანვარი წინამორბედი იყო ჩვენი ერის ახალი გზით სვლისა. 26 იანვარი 18 წლისა საყვარელი დღე უნდა შეიქმნეს საქარაველოს კულტურულს ცხოვრებაში. უყანასენელო სოციალური გადატრიალების გაჰს — 26 იანვარი პირველი მუქ-მთენი. გაჰსაცისკროვნებული დღე იყო ჩვენს ცხოვრებაში და ის უკუწით უკუწისამდე ასეთის შარავანდდით უნდა იყოს შემოსილი, შემკული. 26 იანვარი გამახარებელია ქართველი ახალგაზრდისა დღესაც და მომავალშიც. ამ დღემ გაუადვილა მას სწავლის შეძენა. 26 იანვრიდან იწყება ჩვენი ახალთაობის, გადაგვარების გზაზე მყოფის, მოსპობა. 26 იანვარმა — დაუბრუნა ახალგაზრდა შვილი თავის დედის გულმკერდს. 26 იანვარი არის უტყუარი პირველი ძალა, რომელიც მჭიდროდ აახლოვებს ახალგაზრდას თავის მშობლიურ ბუნებასთან, აყვარებს და ათვისებობს მას

— მთელი ერის სასარგებლოდ.

და ამიტომ უყვარს ქართველ სტუდენტობას 26 იანვარი, ამიტომ ვსცემთ მას პოზიციები პატივს, და ამიტომ გვინდა ყოველ-წლივ ვიზივიშთ ამ დღეს დღეს — საშობალოს ჩვენის კულტურულის; გო-

ნივრულის გაღრმავება-განვითარებისა. ასე ვვცემის და ასე ვფიქრობთ ჩვენ დღევანდელს დღეზე და ასევე უნდა იქცეოდეს ყოველი ქართველი, საქართველოს გულ-შემატკივარი.

3. ხარაძე.



მ ე ტ ი ე უ რ ა დ დ ე ბ ა !

ოდეს რუსეთის აბსოლუტიზმის მიერ ტანჯული ხალხი ეროვნულ სახეს ჰკარგავდა, და რუსული სკოლა მასში ჰკლავდა ნაციონალურ „მე“-ს, ნაციონალურ თვითშეგნებას. რას შეჰპაროდა მაშინ ყველა თავდადებული და გულწრფელი პატრიოტი?

რა გზა ან რა საშუალება არსებობდა იმისათვის, რომ ტყვეობაში მყოფ ქართველ ერს სასრის ბრძალვების ზეგავლენით არ დაევიწყებინა მშობლიური ენა. არ წაეშალა სიყვარული სამშობლოსადმი? ეს გზა, ეს საშუალება იყო ეროვნული სკოლა... გულში იმარბავდა ამ აზრს ქართველი ხალხის მოწინავე ელემენტი. გული იცნობდა მხოლოდ მას, ვინაიდან მისი ხმა-მალა გამოთქმა, მისი საჯაროდ აღიარება რუსეთის სახელმწიფოებრივობის საწინააღმდეგო მოქმედებად იყო მიხნული. მაგრამ 1918 წლის მაისის 26-მა შვა ჩვენი ეროვნული თავისუფლება, 26-მა შვა აგრეთვე ჩვენი ეროვნული სკოლა და გვირგვინი მისი სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ქართველ სტუდენტს, რომელიც ცივი რუსეთის მწირ ქალაქებში იძულებული იყო ჰკაპან-წყვეტიო და გაჭირვებით ესვა. დასწავებოდა მეცნიერების წყაროს, დღეს თავის დედა-ქალაქში გაეღო კარები მეცნიერების ტაძრისა, ჩირაღდანი ჩვენი კულტურული წინსვლისა აქ, ჩვენი

რესპუბლიკის გულში, აღინთო. აქ, მეცნიერების გრდემლზე იქედება ჩვენი ერის მოწინავე ელემენტი. მისი მომავლის, მისი სვე-ბედის გამომჩარბველი. და მაგარი, მტკიცე სიტყვა ქართული დღესმედგრად და თავისუფლად გაისმის ჩვენი უნივერსიტეტის ზღუდეთა შორის.

მაგრამ ამ ბედნიერებასთან ერთად უბედურებასაც ვკონძობთ და ჩვენს მზიარულს შუბლს ოდნავ სევდის ნაოჭიც გადაჰკვრია. მკაცრი, აუტანელია ცხოვრება ჩვენი და უპირველეს ყოვლისა ამ აუტანელმა ცხოვრებამ თავისი დალი ქართველ სტუდენტობას დააჩნია. ჩვენმა სტუდენტობამ დღეს თავისი სახეობა დაჰკარგა თითქმის. ნახევრად მოხელე, ნახევრად მოსწავლე, იგი არც ერთია, არც მეორე. ძალა გამოლეული, ენერჯია დაშრეტლი დაიარება და, რასაკვირველია, რომ თავის პირდაპირ დანიშნულებას — მეცნიერულ შრომას ისეთი ხალისით ვერ ჰკიდებს ხელს, როგორც საქიროა. უზომო ჰადლობის ღირსია ჩვენი მთავრობა, რომ შესძლო და საზღვარ გარეთ გაგზავნა სახელმწიფო ხარჯით 70 კაცი... მაგრამ ეს ხომ წვეთია ზღვაში. შესედეთ ჩვენს სტუდენტობას დედა-ქალაქში, როგორ ცხოვრობს. ან სადა აქვს მას თავშესაფარი, რითი იკვებება — განა ასეთ პირობებში შესაძლებელია სწავლა? წარმოიდგინეთ სარდაფის სართულები, ნესტიანი ოთა-


ხები, სიცივე და... სიმშლი და სიშიშველე—ეს ორი ძლიერი ფაქტორი ადამიანის ფიზიკური დაუძღვრებისა!.. რა მომავალი უნდა შევას ასეთ პირობებში მყოფმა ადამიანმა? როგორ უნდა წარუძღვეს წინ ერს? მერე, ასეთნი ხომ მრავალნი არიან! ნიჭით დაჯილდოვებულნი, მაგრამ ლარიბ-ლატაკნი! მათი ნიჭი სარდაფის ნესტიან კედლებს ან და ცანცელარის მშრალ ქალღღებებს ეწირება მსხვერპლად. ორი საქმის ერთად გაკეთება—სწავლა და სამსახური შეუძლებელია. რასაკვირველია. შეიძლება მათი ერთად მოთავსება, მაგრამ ჩვენ ნაყოფთანა გვაქვს საქმე... ნაყოფი, დაშეთანხმებით, ის არ იქნება, რაც უნდა იყოს. აი, ამიტომ არის ჩვენი სტუდენტობის ცხოვრება აუტანელი. საშიშია, რომ ჩვენ სრულიად არ წაგვეშალოს ჩვენი სახე, და მოხელეობამ ჩვენი პირდაპირი მოვალეობა არ დაგვაფიწყოს და ენერჯია ჩვენი სრულიად არ დაშრიტოს. ჩვენი რესპუბლიკის მთავრობა არ უნდა დაკმაყოფილდეს სამოციოდე კაცის საზღვარ გარეთ გაგზავნით. მან ურადლება უნდა მიაქციოს ადგილობრივ ახალგაზრდობას, სტუდენტთა ლეგიონს, ხელი გაუწოდოს მას და იხსნას იმ გაჭირვებულ მდგომარეობიდან, რომელშიაც ის დღეს იმყოფება. როგორც ეროვნულ გვარდიას, ისე ეროვნულ სკოლასაც მოვლა პატრონობა უნდა. თუ ჯარი და გვარდია ხმლითა სქედავს ჩვენს მომავალს—იქ ჩვენი ქვეყნის შორეულ საზღვრებზე, ეროვნული სკოლა შობს კულტურულ მუშაკთ, რომელნიც თვის ტენის გუთნით სულ სხვა გვარ მინდორს ხნავენ—ეს მინდორია ჩვენი ერის კულტურული, ბრწყინვალე მომავალი, მისი აღორძინება და აყვავება.

მაშ იმედი გექონდეს, რომ ჩვენი მთავრობა მიაპყრობს ურადლებას ჩვენ სტუდენტობასაც და დახმარებას გაუწევს შესაძლებლობის ფარგლებში.

ურადლება იმ ამბანაგებს, რომელთაც წილად ხვდათ საზღვარ-გარეთ წასვლა სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ ურადლება იმ სტუდენტობასაც, რომელნიც დედა-ქალაქში სცხოვრობენ და ბედნიერნი არიან ეროვნულ უნივერსიტეტში სწავლით. ურადლება ამითაც, რათა მეცეთ საშუალება უფრო მეტის ენერჯიით მოჰკიდონ ხელი თავის პირდაპირ დანიშნულებას, რომ მათდამი გადაცემულ სამკვიდრებელს მომავალში უკეთესად მოუხარონ და არ დაქარგონ ის, რაც 117 წლის ტყვეობის შემდეგ მოგვიბოიებია.

მეტი ურადლება!..

ირაკლი ფერაძე.



ტფილისის უნივერსიტეტის ისტორიიდან.

(ზ ივრთი თარიღები).

1917 წელს. მარტში, რევოლუციის პირველსავე დღეებში, უნივერსიტეტის მოღვაწეთა პირველი კრება, მოწვეული პროფ. ავ. ჯავახიშვილის მიერ პეტერბურგში, ქართულ უნივერსიტეტის დაარსების საქმის სათათბიროდ.

12 მაისს. „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების“ დამფუძნებელ კრების სხდომა

22 აგვისტოს. „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების“ წესდების დამტკიცება ამირ-კაკასიის კომისარიატის მიერ.

9 ოქტომბერს. ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება ანდობს პროფ. პ. მუჯაქიშვილს, ივ. ჯავახიშვილს

და ა. რაზმაძეს მოაწვიონ უნივერსიტეტის მოღვაწეები და შეადგინონ პროფესორთა კოლეგია.

1918 წ. 13 იანვარს. პროფესორთა კოლეგიის პირველი (ოფიციალური) სხდომა და თანამდებობის პირთა არჩევა: უნივერსიტეტის რექტორისა, სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტის დეკანისა და პროფესორთა საბჭოს მდივნისა.

26 იანვარს. ქართული უნივერსიტეტს გახსნა სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის სახით.

25 ივნისს. პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილება, გაიხსნას ახალი ფაკულტეტები: სამათემატიკო-საბუნების მეტყველო და სამკურნალო (შეერთებული სახით).

3 სექტემბერს. ქართული უნივერსიტეტის „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტად“ გადაკეთება და დროებით ძირითად დებულებათა დამტკიცება.

1919 წ. 9 აპრილს. სამათემატიკო-საბუნების მეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტის ორ დაპოუყიდებელ ფაკულტეტად გაყოფა.

ველად იყო მხოლოდ სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტი. შემდეგ გაიხსნა სავქიშო, სამეურნეო, საბუნების-მეტყველო და სამათემატიკო დარგები.

სიბრძნის—მეტყველების ფაკულტეტზე გახსნის დროს ირიცებოდა 280 სტუდენტი და 83 თავისუფალი მსმენელი. ამ წამად კი ირიცებებიან:

1918 წ. იანვარში ჩარიცხულნი.

სტუდენტები: ვაგი - 87, ქალი - 50, სულ 137 თავისუფალი მსმენელი: ვაგი - 7, ქალი - 11, სულ 18. საერთოდ - 155.

1918 წ. შემოდგომის სემესტრზე ჩარიცხულნი.

სტუდენტები: ვაგი - 116, ქალი - 63, სულ 179. თავისუფალი მსმენელი: ვაგი - 20, ქალი - 10, სულ 30. საერთოდ - 209.

1919 წ. იანვარში ჩარიცხულნი.


სტუდენტები: ვაგი - 10, ქალი - 5, სულ 15 თავისუფალი მსმენელი: ვაგი - 9, ქალი - 2, სულ 11. საერთოდ - 26.

1919 წ. შემოდგომის სემესტრზე ჩარიცხულნი.

სტუდენტები: ვაგი - 192, ქალი - 127, სულ 319. თავისუფალი მსმენელი: ვაგი - 26, ქალი - 10, სულ 36. საერთოდ - 355. სულ შთელ სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტზე ირიცება სტუდენტი - ვაგი: 405, ქალი: 245, სულ - 650. თავისუფალი მსმენელი - ვაგი: 62, ქალი: 33. სულ - 95. საერთოდ - 745.

სავქიშო ფაკულტეტი.

პირველ კურსზე - ვაგი - 273, ქალი - 154, სულ - 427. მეორე კურსზე - ვაგი - 124, ქალი - 74, სულ 197. მესამე კურსზე - ვაგი - 73, ქალი - 44, სულ 117. შთელ სავქიშო ფაკულტეტზე ირიცება ქალი - 272, ვაგი - 469, სულ 741.



სტატისტიკური ცნობები სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შესახებ.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გაიხსნა 1918 წ. იანვრის 26-ს. პირ-

სამეურნეო დარგი

ზარგულ კურსზე—ვაგი: 205., ქალი: 34, სულ 239. თავისუფალი მშენებელი: ქალი—3, ვაგი: 2, სულ 241. შვირე კურსზე—ვაგი: 10, ქალი: 6, სულ 16. შესაშე კურსზე—ვაგი: 12, ქალი: 17, სულ 29. საერთოდ შვირე სამეურნეო დარგზე ირიცხებიან—ვაგი: 227, ქალი: 57, სულ 284. თავისუფალნი მშენებელი: ქალი—3, ვაგი—2, საერთოდ—289.

საბუნების-მეტყველო დარგი.


ზარგულ კურსზე—ვაგი—23, ქალი—23, სულ 46. შვირე კურსზე—ვაგი—2, ქალი—2, სულ 4. შესაშე კურსზე—ქალი—3, ვა-

გი—0. საერთოდ შვირე საბუნებისმეტყველო დარგზე ირიცხებიან—ვაგი: 25, ქალი: 28, საერთოდ 53.

მათემატიკური დარგი

ზარგულ კურსზე—ვაგი: 75, ქალი—12. შვირე კურსზე—ვაგი—2, ქალი—0, სულ—ვაგი—77, ქალი—12, სულ 89. თავისუფალნი მშენებელი: ვაგი—2, ქალი—1, საერთოდ—3.

საერთოდ შვირე მათემატიკურ დარგზე ირიცხებიან: სტუდენტები—ვაგი: 1203, ქალი: 614, სულ 1817. თავისუფალნი მშენებელი—ვაგი: 66, ქალი: 37, სულ—103, საერთოდ—1926.



პროფ. იოსებ ყიფშიაძე.

(1882—1919)

ცულწარმოვანი სინანულით უნდა აღინიშნოს რომ დღეს, ტრადიციულ დღეს

ქართველ სტუდენტობისა, ჩვენთან, სტუდენტებთან აღარ არის ის ალაბიანი, რომ

მელიც ქართულ მეცნიერების ტაძრის და-
არსებას ისტორიაში უპირველესი ადგილი
უკავია.

ეს აღაპიანი იყო იოსებ ყიფშიძე.
იოსებ ყიფშიძე დაიბადა 1882 წლის დე-
კემბრის 25-ის სოფ. რგანში (ზემო იმე-
რეთში). პირველ დაწყებითი სწავლა მი-
იღო ამავე სოფლის სკოლაში, რომლის
გათავების შემდგომ იგი მიაბარეს ქუთა-
ისის სასულიერო სასწავლებელში და იქი-
დან გადავიდა სემინარიაში. აქ კურსი სე-
მინარიაში არ დაუსრულებია, ვინაიდან
მოძრაობის გამო 1914 წ. სემინარია და-
ხურულ იქნა.

1907 წ. იგი გაემგზავრა რუსეთს სწა-
ვლის გასაგრძელებლად. ხარკოვში ჩე-
რიცხა საბუნების მეტყველო ფაკულტეტ-
ზე, მაგრამ სულ შალე დაანება თავი ამ
ფაკულტეტს, და შევიდა პეტერბურგის
უნივერსიტეტში აღმოსავლურ ენათა ფა-
კულტეტზე. იქ ის შალე გახდა პროფ.
მარის საყვარელ და საიმედო მოწაფეთ
და ამოუღებ გვერდში თავის დიდებულ
მასწავლებელს იმ საკითხების დახუშავე-
ბაში, რომელნიც წამოყენებულნი იყ-
ვნენ მარის მიერ შექმნილ იდეურ თე-
ორიით.

სტუდენტობის დროსავე დაიწყო გან-
სვენებულმა პეგრულის შესწავლა.

1910 წ. ზაფხულს იგი გაგზავნილ
იქნა ფაკულტეტის მიერ სამეგრელოში,
მასალების შესაკრებლად და შესასწავლად.
სხვათა შორის ამ ენის შესწავლა მას თა-
ვისი სურვილით უფრო ადრე ჰქონდა და-
წყებული, და 1913 წელს მან დაამთა-
ვრა ამ ენის შესწავლა...

საქეციერო აკადემიის დავალებით
ყიფშიძემ მოიარა აგრეთვე ყოფილი რუ-
სეთის ლაზისტანი, ქაანური (ანუ ლაზი-
ური) ენის შესახებ დამატებით მასალებ-
ის შესაკრებლად. ამ მოგზაურობის შე-
დეგი გამოქვეყნებული იყო 1911 წ.
დამატებითი ცნობები კანური ენის შე-

სახებ (რუსეთის საქეციერო აკადემიის
„მასალები იდეურ ენათ მეცნიერე-
ბისა.“ ტ. III)

აგრეთვე პატარა ნაწერში „პიკი და
ბოზო“ (ქანური ლექსია), რომელსც დაბეჭ-
დილია იმავე აკადემიის *Известия*-ებში
1911 წ.

უნივერსიტეტის გათავების შემდგომ
იოსებ ყიფშიძე დატოვებულ იქნა იქვე
და ემზადებოდა საპროფესოროდ. ამასთან
ერთად იგი მიიწვიეს მასწავლებლად „ალ-
მოსავლეთის პრაქტიკულ აკადემიაში.“ ამ
მასწავლებლობის დროს მან გამოსცა
„ქართული ენის გრამატიკა“.

1913 წელს საქეციერო აკადემიის
„Христианский Восток“-ში გამოქვეყ-
ნებული იყო მისი ნაშრომი „ცხოვრება
და წამება წმინდის ანტონი—რავებისი“,
რომელსაც სპეციალისტები დიდის აღფრ-
თოვანებით შეხვდნენ.

1915 წელს დაიბეჭდა ყიფშიძის მთა-
ვარი ნაშრომი „მეგრული ენის გრამატიკა
ქრისტომატიით და ლექსაკონიფორით“.

ეს წიგნი იყო შედგენილი ამ დიდი მუ-
შაობისა, რომელსაც განსვენებული პრო-
ფესორი ეწეოდა სამეგრელოში.

იმავე წელში ეს ნაშრომი ყიფშიძის
მიერ წარდგენილი იყო ფაკულტეტში,
როგორც დისერტაცია, ქართული ფი-
ლოლოგიის მაგისტრის ხარისხის მოსაპო-
ებლად. პრესიდან ვიცით, თუ რა ზეი-
შით ჩატარდა ეს დისერტაცია. იოსებ ყი-
ფშიძეს რასაც ირველია მიაკეთენეს ის,
რის ღირსიც ის უსათუოდ იყო—მაგის-
ტრობა.

1915 წლის დასაწყისში იგი მიიწვიეს
აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტზე პროვატ-
დოცენტად და ლექციებს კითხულობდ
ძველი ქართულისა და მეგრულის შესახებ.
ამ თანამდებობაზე დაჰყო მან 1917 წ. დე-
1911 წ. მისი რედაქციით გამოცემული
იყო ქართველ სტუდენტთა საქეციერო
წრის მიერ შედგენილი ქართული მიბ-

ლიოგრაფია, რომელიც წარმოადგენს სარჩევს ყველა იმ სტატიებისას და საზოგადოდ მასალებისას, რომელნიც დაბეჭდილნი არიან ქართულ პერიოდულ გამოცემებში 1952-1910 წ.წ. ყოფიძის დიდ ღვაწლად უნდა ჩაითვალოს სამეცნიერო აკადემიის-შიერ მინდობილი საბა-სულხან ორბელიანის „ლექსიკონის“ აკადემიური გამოცემის დამზადება. ამ გამოცემის დაბეჭდვა თავს იღო თვით აკადემიამ.

1918 წელში პეტერბურგში გამოცემა იოსებ ყოფიძის „ძველი-ქართული ლიტერატურის ქრისტომატია“, თუმცა თვით ვეტორი ველარ მოვსწრო თავის ნაშრომის ხილვას.

იოსებ ყოფიძეს დარჩა აგრეთვე დაუბეჭდავი მასალები. შავალითად მისი ოსმალეთის ლაზისტანში მოგზაურობის შედეგი (1917 წ. კავკასიის არქეოლოგიურ ინსტიტუტის მინდობილობით), რეფერატები და ლექციები, წაკითხულნი საჯაროდ სხვა და სხვა მეცნიერულ საზოგადოებებში.

თანაშრომლობდა ის აგრეთვე სხვა და სხვა ქართულ პერიოდულ გამოცემებში „მაკოშვილ-ალექსიძის“ პსევდონიმით...

როგორც ზეერთა ვსთქვა, ჩვენი უნივერსიტეტის დაარსებაში მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის. აქ მას ეკირა ქართული ენის კათედრა. (სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტზე). ამასთან ერთად იგი ასრულებდა პროფესორთა საბჭოს მდივნის მოვალეობას. შარშან, 1919 წ. თებერვლის 11 სივიაველ გახდა პარტახტიან სახადით და ვარდაიცივალა 21 თებერვალს.

მადლიერმა ქართველმა საზოგადოებამ დაკრძალა მისი გვაში ქართველ მოღვაწეთა პანეოში.


ერთი ვერდი ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიიდან.

მე არ მინდა უნივერსიტეტის 25-შენელობაზე ლაპარაკი—ეს ყველა გონიერ ქართველ მოქალაქისათვის ცხადი და უდავოა: არც მისი გახსნის იდეის ჩასახვაზე მოგასწავნებთ და ამ იდეის პირველ მოტრუიალეთა მალალ გატაცებაზე; მე მინდა დღევანდელ საუნივერსიტეტო ზეიმის დღეს მოვავგონო ქართველ სტუდენტობას და ქართველ საზოგადოებას აურ-ზაური, რომელიც გამოიწვია პეტროგრაღში ქართველ მოწინავე ლემენტების განზრახვამ.

„კერენშინის“ ეპოქა იყო რუსეთი ჯერ კდეც საკმაოდ ვერ დაშლილყო და პერიფერებს ცენტრი განაგებდა. მართალია, მთავრობას სათავეში სოციალისტები უღვებენ, მაგრამ ის ხანა იყო რუსეთის რევოლიუციისა, როდესაც პატარა და დიდი ერების სოციალისტები მალალ და საკაცობრიო მიზნების მიღმა თავის სამშობლოს ვერ ამჩნევდენ. ასეთ დროს მოვიდა პეტროგრაღში ცნობა, რომ პატარა საქართველოში ვილაცა გათავებდებულა და ამ პოლიტიკურად და კულტურულად „უსუსურ“ ვრს უნივერსიტეტს უზნის. კერძოდ მეც მივიღე ბარათი პროფ. ა. შინძისაკან, სადაც იგი გვაულებდა თვალყური შედევნებინა ჩვენი უნივერსიტეტის ბედისათვის.

საქმე შევებობდა უნივერსიტეტის გახსნის ნებართვას. „ოზაკობი“ ამის წინააღმდეგ თითქოს არ წასულიყო აქ ადგილობრივ, მაგრამ ცენტრისათვის მაინც შეუფერებელ დასკვნებთ. იქ ამ ამბავმა საშინელი მდგომარეობა შექმნა.

რუსის პატრონები, მიუხედავად მათი პოლიტიკური რწმენისა, ვაფაციცებით თვალყურს ადევნებდენ კავკასიის საზოგადოდ და კერძოდ საქართველოს. ყოველა გამოსახულება ამათი „მეობის“



მაჩვენებელი სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოვლენად მიაჩნდათ და რა გასაკვირვია, რომ ცნობა ქართულ უნივერსიტეტის შეამდგომლობასათვის იქ ყუპპარასავით გასქდა.

—რა საჭიროა თქვენთვის უნივერსიტეტი და ისიც განკერძოებული, ქართული? შეკავებული სიბრაზით მეუბნებოდენ უფრო თავზიანი რუსები, თუ მაინც და მაინც სრულიად საკპარისი იქნება ერთი ამიერ კავკასიის უნივერსიტეტი, სადაც რუსულ კულტურის მფარველობის ქვეშ თქვენ შეითვისებთ ევროპის ცავილიზაციას.

—ეს მიუტოვებელი სეპარატიზმია აკადემიურ ქურქში გახვეული. გიცნობთ რაც ბრძანდებით თქვენ ქართველები—აშკარა მტრობით მეუბნებოდენ თავ-შეუკავებელი „მოზუბრე“ კადეტები.

განათლების მინისტრი ვანახულე. მან ნაძალადევი თავზიანობით მივიღო. შესვლისას წამოდგა და არც თვითონ დაჯდა არც მე დამაჯინა. ასე გაჩერებული შიკითხავდა ლექციას იმის შესახებ, თუ რა უნაყოფო და მოუფიქრებელი ნაბიჯი გადაუდგამს „ზოგიერთ ქართველ ინტელიგენტებს“.

—სხვას რომ თავი დავანებოთ, სთქვა მინისტრმა, როდესაც ჩემი პასუხი მოისმინა, თქვენ არც მეცნიერული ენა გაქვთ, ტერმინოლოგია. იფიქრეთ რამდენი დრო დაიკარგება ყველა ამის შექმნაში და შექმნით კი? არ უნდა ვიფიქროთ, რომ თქვენი შრომა სრულიად ამაოდ და უშედეგოთ დაიკარგება?!

მე შევეცადე გამეხსენებია მინისტრისათვის ჩვენი წარსული კულტურა, რომლის აღორძინების მოლოდინში ვართ, თუ შესაფერი პოლიტიკური პირობები დადგებოდა. მინისტრს, თუმცა აღმოსავლეთის ფაკულტეტის პროფესორს და აკადემიკოსს, ამ კულტურის შესახებ მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აღმოაჩნდა.

არ ვიცი ამის გამო, თუ ჩემი სიჯიუტის მეოხებით, მინისტრმა ტონი შესცვალა..

—თქვენ არ იფიქროთ, რომ ჩვენ გვეშინია თქვენი უნივერსიტეტის..

მისი სიბრაზე მხოლოდ ამ შიშით აიხსნებოდა.

ჩვენ დავრთავთ ნებას გაიხსნას ქართული უნივერსიტეტი, მხოლოდ მასთან ერთად ჩვენ გავხსნით ჩვენს რუსულ უნივერსიტეტს და ვნახოთ, რამდენ დღეს იარსებებს თქვენი უნივერსიტეტი.

მე შევნიშნე, რომ სიცხარე, რომლითაც მინისტრი ლაპარაკობს, არ უნდა შეიფერებოდეს თუნდაც იმ თავისუფალ მეცნიერულ მეტოქეობას, რომლის გამართვას გვპირდება ბ. მინისტრი. ახლად გამინისტრებულ პროფესორში აკადემიურმა სინდისმა სძლია აღმინისტრაციულ ინდაურობას და იგი კვლავ დაუბრუნდა დიპლომატიურ შეწყვეტილ ლექციაზე.

ილაპარაკა მეტოქეობის ორგანიულ და სოციალურ მნიშვნელობაზე, შერჩევის კანონებზე ბიოლოგიაში, შეეხო ენათმეცნიერებას და გაათავა ისტორიულ მაგალითებით, როგორც იყო მისი აზრით გერმანულ და ჩეხური უნივერსიტეტების მეტოქეობა პრაგაში.

დასასრულ მინისტრმა შემატყობინა, რომ უკვე არჩეულია რამოდენიმე პროფესორთაგან კომისია, რომელიც იპუშავებს ერთის მხრით ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის საკითხს და მეორე მხრით ეცნობა ქართულ უნივერსიტეტის დებულებებსო.

გაოვემშვიდობე და წავედი ამ კომისიის წევრების სანახავად „დროებითი“ რესპუბლიკის (და არა რესპუბლიკის დროებითი საბჭოს—ასე მუდამ ებორძიებოდა ენა კერენსკის—და აკი წინასწარმეტყველური აღმოჩნდა მისი ბორძიკი). სხდომა იყო. მარტამ დედოფლისაფერადებულ სასახლის დარბაზებში დებუ-

ტატებს თავი მოეყარათ, მათ შორის მკისვე შევნიშნე მოქნიული სახე პრ. კაუფმანისა და მუდამ მოცინარი პრ. ვასილიფისა. ესენი იყვნენ იმ კომისიის წევრები, რომელიც, როგორც გამოირკვა აჩერებდა ქართულ უნივერსიტეტის საკითხს მანამდე, სანამდე, არ შეეშუშავებოდათ რუსული უნივერსიტეტის დებულებანი ამიერ-კავკასიისათვის.

მივესალმე პრ. ვასილიფს კარგად ვიცნობდი — ფილოსოფიური საზოგადოების წევრები ვიყავით. უნდა გენახათ მისი მუდამ მოცინარი სახე როგორ შეიცვალა როდესაც ქართული უნივერსიტეტი ვახსენე. კაუფმანს სახე სულ დაუგრძელდა და მისი მუდამ წითელი ცხვირი, რომლის ნორმალურ ფერზე მოსაყვანად იგი უზვად ხმარობდა „პულრა“-ს, გაუზკვალს ქარხალს დაეშუგავსა.

შეიქმნა ფიცხელი კამათი. მისი უნაყოფიერებაში მე მაშინვე დაკრწმუნდი. განვიზრახე ჩვენი ლაპარაკი საინფორმაციოთ გამომეყენებია, მაგრამ მუდამ თავზიანი ვასილიფი კითხვებზე ძუნწად მიპასუხებდა და იერიშებს განავრძობდა.

— ენ უნდა ჩაუდგეს თქვენს უნივერსიტეტს სათავეში, საზოგადოდ ვინაა ამ საქმის ინიციატორი? მკითხა მან და, ვერ დავპალაფე, მისმა უკმეხმა სახემ ჩამაფაქრა. ძველი რეჟიმის სუნი კიდევ ასლიოდა რუსეთს. გამომძიებლის კილოთი მოცემულმა კითხვამ ჩემში ერთგვარ გაუბედავობა გამოიწვია. იმ კაცის დასახელებაში, რომელმაც თავს იღვა მძიმე ტვირთი ქართული უნივერსიტეტის პიონერობისა. მაგრამ ეს იყო შოლოდ ერთი წუთით. ისტორიულ ჩარხის შეუტრიალებლობა ნათლად ჩამოისახა ჩემს წინ და მე უპასუხე:

— ქართულ უნივერსიტეტის იდეა ეკუთვნის პეტროგრადის უნივერსიტეტის მოღვაწე ქართველობას, განსაკუთრებით კი პრ. ივ. ჯავახიშვილს, რომელიც ამ საქმეს სათავეში უდგას.

პროფესორ მარა წევროვანი სიტყვიერებით მიპასუხა და ცოტა ხნის პაუზის შემდეგ დამიწყო იმისივე მტკიცება, რაც მინისტრისაგან გავიკონე ახალი გავიგე შოლოდ ის, რომ შოაფრობას გადაწყვეტილი ქონდა გამოეგზავნა კავკასიაში საუკეთესო ძალები, უნივერსიტეტის ლექტორად ასახელებდნენ პროფ. შიპკევიჩს და სხვ. და ყველა ეს შოლოდ იმ მოსახზრებით, რომ იმ თავითვე ჩაეკლათ ქართული უნივერსიტეტის არსებობა.

კიდევ ორი დამახასიათებელი წერილმანი.

ქართულ უნივერსიტეტს პეტროგრადის მთაერობამ დართო ნება, ხოლო ნება რაოვა ფოსტით გამოგზავნეს კავკასიაში. იშავე დროს დევეშით აცნობეს, „ხაკიმს“ თბილისში რუსულ უნივერსიტეტის გახსნა.

პეტროგრადის უნივერსიტეტის გამგეობის კანცელიარიაში შევედი სავაგისტრო გამოცდების მოწმობის გამოსაცნობად.

— რად დაგკირდათ ეგ მოწმობა — დინჯად მკითხა საბქოს მდივანმა არ. ნიკიტინმა.

— ხომ ხედავთ რა ამბებია, ეუპასუხე მე, ყოველ შემთხვევისათვის მიწდა ხელში მქონდეს.

— ვიცი, ვიცი — შემომჩახა სახე-შეცვლილმა მდივანმა, უეჭველად ქართულ უნივერსიტეტში მიბრძანდებით და ღვთის რისხვასავით შემაჩეჩა მოწმობა. კომენტარები ზედმეტია.

დღეს, ქართული უნივერსიტეტის საზვიმო დღეს, ზედმეტი არ იყო ყველა ამის მოგონება. მე მოუწოდებ ქართველ სტუდენტობას სრულის სიმშვიდით და შურის გარეშე მოიგონოს თავისი ქვეყნის ახლო და უკუღპართი წარსული და სრულის იმედით გაემართოს იმ ბრწყინვალე მომავლისაკენ, რომელსაც ათასწლოვან კულტურის აღორძინება ეწოდება.

შალვა ნუსუბიძე.

ჩემი სტუდენტობის დროიდან.

ეს იყო ოცდა ხუთი წლის წინად, მეოთხედი საუკუნე საჭაო მანძილია საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ მაშინ მაინც არაფერ ფიქრობდა, რომ დღევანდელი ამბების მსკაცნა რამ მოხდებოდა. მოელი რუსეთი დამხვეალი მოწვევდელი ჰყავდა თავის კლანტებში ალექსანდრე მესამის რეაქციას. მისი მემკვიდრე ნიკოლოზი ღირსეულად განავრძობდა მამის პოლიტიკას და უნებურად უზნადებდა ნიადაგს ტახტის დამხვერვას. მაგრამ მაშინ შეფეებსაც და მათ მინისტრებსაც ღრმად სწამდათ, რომ მათი ძლიერება შურეველია, მახსოვს, რუსეთის იმპერატორს ავსტრო-უნგრეთის იმპერატორი ფრანც-იოსები ეწვია სტუმრად და იმათი გამოვლა ნვეის პროსპექტზე ღმერთების პროცესიას მოგვაჯონებდა... სადღაა დღეს ამის აზრდილი?

გარეგნულად მაივლს იმპერიაში სრული „წესიერბა და მშვიდობიანობა“ სუფევდა. უკმაყოფილების ნახანი არხად მოსხანდა, ცოცხალი აზრი ჩაკლული იყო, რუსის ინტელიგენციის თავისუფალის მათფლ-მწედველობას გამოხატავდა მხოლოდ მეტის მეტად მერთალი და ზონიერი ლიბერალური გახუთი „რუსკია ვედომოსტი“ და „კურნალი „ვესტნიკ ვროსი“. რასაკვირველია ფარული მუშაობა ძველი რევოლიუციონერებს განადგურების შემდეგ განაზღვებული იყო, ხოლო ჯერ კიდევ არ ემზნეოდა სიმძლავრე და არ გამოვხეტქა ვარეთ. პეტერბურგში გამოდიოდა ორად ორი გახუთი - ერთი „ნოვოე ვრეშია“ რუსული ბიუროკრატის ორგანო და „ნოვოსტი“, რომელიც თითქმას ოდნავად ლიბერალიზდა უღველი სალი მეცნიერული წიგნი წინად დაბეჭდილი განდარმეჩიის და ცენზურის ყუთებში ღპებოდა, ახლის დაბეჭდვა არავის შეეძლო. როდესაც რაღაც მანქანებით პავლენკოვმა მოახერხა ბოკლის „კოვილიზაციის ისტორიის“ ხელახალი გამოცემა, ეს უდიდესი პოლიტიკური ამბავი იყო და წიგნი ერთს კვირაში დაიტაცეს. უნივერსიტეტში ოფიციალური მეცნიერება ბატონობდა. მოდუნებულ ცხოვრებას ცოტათი აცხოველებდა პროფ. კარვევის წყალ-წყალა ლიბერალური ლექციები ისტორიული და საზოგადოებრივი ხასიათისა და პროფ. თარხნიშვილის ლექციები ფიზიოლოგიის შესახებ, რომლებშიაც აშკარად გამოსკვივოდა მეცნიერების და საერთოდ განვითარების სიმძლავრე და შეუჩერებლობა. პროფ. თარხნიშვილის ლექციები

სააქტო დარბაზში იმართებოდა და აუარებელი სტუდენტობა ესწრებოდა. ამისთვის განსვენებული მეცნიერი ათვალისწინებული ჰყავდათ შთავრობის წრეებს...

პეტერბურგში მაშინ ქართული სტუდენტი 50-60 იყო უნივერსიტეტსა და სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებში. მახსოვს, ანკეტაც მოვანდინეთ შთელი რუსეთის უმაღლეს სასწავლებლების ქართული სტუდენტობისა და მათი რიცხვი დაახლოვებით ორასზე ცოტა მეტი იყო. პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩემს დროს სხვათა შორის სწავლობდენ: ლუარს. ანდრონიკაშვილი, ზურ. ავალიშვილი, არჩ. ჯარჯობაილი, ნაკაშიძე, გრ. რუხილაძე, იოს. ბარათაშვილი, ივ. ჯავახიშვილი, უკანასკნელ დღეს პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი და რექტორი მაშინაც დიდი მოყვარული იყო ქართული კულტურის და ნოტრფიალუ მისი იყავების.

წინად პეტერბურგში არსებობდა საერთო სათვისტომო ყველა კავკასიული სტუდენტისა ქართველების, სომხების, თათრების, შთიელების. მაგრამ ჩემი ჩასვლის ცოტა, იღრე უკვე ცალცალკე ეროვნული სათვისტომოები შეეჭმნათ. ყველას საყუთარი სათვისტომო გვქონდა. ფაქტიურად არსებობდა საერთო კავკასიური სათვისტომოც. ზოვიერთებმა რამდენჯერმე მოვიდომეთ მისი ფაქტიური აღდგენა, მაგრამ ვერაფრს გავხდით.

ქართული სტუდენტობის სათვისტომოს მუშაობა უშთავრესად იმაში გამოიხატებოდა, რომ წელიწადში ერთხელ დეკემბერში ან იანვრის პირველ რიცხვებში ქართულ საღამოს გაემართავდით და იმის შემოსავლით ვებმარგბოდით გაკირვებულ ამხანაგებს. ერთ-ერთ საღამოზე სხვათა შორის პირველად დაედგით მელ. ბალანჩივადის ოპერის „თამარ ცხიფრის“ ერთი მოქმედება. პატრეცემული კომპოზიტორი იმ დროს პეტერბურგში სცხოვრობდა და ყოველთვის გვეზმარებოდა საღამოების გამართვაში. აქვე გაკიხსენებ, რომ ერთ საღამოზე დაედგით ცოცხალი სურათები ვაჟა-ფშაველას „ეთერიდან.“ გამოჩენილის მხატვრის მიკეშინის ხელმძღვანელობით. მხატვარმა რამდენიმე ესკიზი დაგვიხატა. სურათებს სათვისტომოში ვინახავდით, მაგრამ შემდეგ სადღაც დაიკარგა. ჩვენი ცხოვრების და პოეზიის ცოცხალი სურათები ყოველს ჩვენს საღამოს ამშვენებდა და ბარე ორჯულ სურათების დადგმას ხელმძღვანელობდა „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ზინიკ.

ჩვენს სათვისტომოში გვედგურა მეკადნიერება არ იყო. დღევანდელი პარტიული დარაზმულობა მაშინ არ არსებობდა. უფრო ასეთი დანაწილება ეზნერა ქართველ სტუდენტობას — ერთი, აგრე ვსაქვათ, მოიკანსოპოლოტებდენ, მეორე უფრო ერთგულ თვითგამორკვევისკენ მიისწრაფოდენ...

სტუდენტობის დრო ადამიანის ცხოვრებაში საუკეთესო ხანაა და მეც ბევრი რამ მაქვს იმ დროის ვასახსენებელი, რაიც საგულისხმევია ჩვენი განვლილი ერთგულ საზოგადოებრივ ვითარების შესასწავლად. მაგრამ ახლა ამას ვერ გამოუვადებთ. მინდა გავიხსენო მხოლოდ ორი ამბავი:

პატარა საბურძნეთმა ოსმალეთის ომი გამოუცხადა. საერთაშორისო მდგომარეობა მაშინაც გამწვავებული იყო და უბრალო მიზეზს შეეწყო საყოველთაო დანგრევა გამოუწვია. რამდენიმე სტუდენტი დიდის აღფრთოვანებით შევხედით ამ ამბავს, ვფიქრობდით, რომ საბურძნეთი სხვებსაც ჩაითრევს პრძოლაში და შეიძლება დამდგარიყო ერთა განთავისუფლების ხანა. შევაყრინეთ საბურძნეთის დროში და დიდის მოწინებით გამოვცოდეთ ოსმალეთს. გაქმართეთ პატარა კრება: გადაუწყვეტეთ, რომ დიდი გაბედული თანაგრძობა და ხალაში გაგვეგზავნა ათინის სტუდენტობისათვის. ახლა ეს შეიძლება სახაცილოც იყოს. მაგრამ მაშინ ეს ერთგვარი თავბელობა იყო. მივედით წინასწარ მოლაპარაკებისათვის საბურძნეთს ელჩთან. დიდით ეამა ჩვენი განზრახვა და მზურვალე მადლობა გამოგვიცხადა და გვიპირდა, დეპეშას მე გადავცემ მთერთით, ხოლო გაგვადრთილა: თქვენს დეპეშას რუსეთის მთავრობა მიიღებს და ალბათ სასტიკ ზომებს მიიღებს თქვენს წინააღმდეგო.

ამის გამო დაუყოვნებლივ წერილები მოვწერეთ „ივერიის“, „კვალის“ და „მოამბის“ რედაქციებს. ვთხოვედით რჩევას. პასუხი მივიღეთ ილია ჭავჭავაძის და გ. წერეთლისგან. ილია ვრცელს წიგნს გვწერდა — მოსწონდა ჩვენი გადაწყვეტილება, მაგრამ მეშინია, ძლიერ დაისჯებით და თქვენ ჩვენი სამშობლოსათვის უფრო საჭიროანი ხართო. გ. წერეთელიც ვეაფრთხილებდა, მაგრამ ბოლოს მიიღო გვირგვინი, მიპყვეით თქვენს ახალგაზდურ მისწრაფებასო.

პასუხები გვიან მივიღეთ და დეპეშის გაგზავნას უკვე ახრი აღარ ქონდა...

მეორე ამბავი, რომელიც დღეს მინდა მოვიგონო, არის პეტერბურგის სტუდენტობის დემონ-

სტრაცია მრავალი წლის სიჩუმის შემდეგ ქრისტე ქალი ვტროვისა პეტრე-პავლეს ციხეში ისევ ვაამწარებს, რომ საცოდავმა ნათი ვადანისბა და თავი დაიწვა. ამ ამბავმა ძალზე აღაშფოთა სტუდენტობა და ვადანსწევიტეს დიდი დემონსტრაციის მოხდენა ნევის პროსპექტზე და განსაკუთრებით ეახანის ტაძრის წინ.

ქართველ ახალგაზდობას წინა საღამოს კრება გვექონდა ამისთვის და მიიწია და მიიწი ერთხულოვანიობა არ გვეჩვენებოდა, ბევრი ვოყმანობდნენ, მაგრამ მეორე დღეს ყველანი თითქმის პირველები მივედით დანიშნულ იდგილზე. აუარებელმა ახალგაზდობამ მოიყარა თავი. დემონსტრაცია ვაპოვიდა ვრანდიოზული. მოძრაობა სრულიად შეწყდა: ნევის ქუჩაზე ვაფთორებულმა მთავრობამ ვანდარშენი და პოლიციელებმა შემოკვანებია ვარს, მაგრამ ძალის ბმარება ვერ ვაბედეს. მარტო ცვლის ვეირგვინი, რომელიც წინ მიქჟანდა მკალობულ სტუდენტთა ზოროს, გამოვლიოგეს ხელიდან...

ამ დემონსტრაციამ დიდი შთაბეჭდილობა მოახდინა. მაშინდელი მიყრებული ცხოვრება აამოძრავა; სტუდენტობაში სიფხიზლე და სიხალისე შეიტანა. პეტერბურგის ახალგაზდობას სხვა ქალაქების სტუდენტებიც გამოეხმარურნ. ვაქოველდა მეშაობა, დაიწეს ვაროული ვაროთო კრებების ვანარძვა, ვანოსცეს მოწოდებანი სხვა და სხვა უფრსლები...

პეტერბურგის დემონსტრაციაში მონაწილენი სამ-სამი დღით ჩავესვევა ციხეში. ვფიქრობ, რომ ეს ყველასათვის ტყბილი იყო.

სამ. ფირცხალავა.

სარედაქციო კოლეგიისაგან.

ბევრა აწყობილი და დასაბეკდად გამზადებული მასალა ტეხნიკურ დაბრკოლებათა ვაპო ამ ნომერში ველარ მოთავსდა. სარედაქციო კოლეგია დიდ ბოდიშს იხდის იმ ავტორების წინაშე, რომელთა წერილები ამ ნომერში დაუბეკდავი დარჩა.

სარედაქციო კოლეგია უღრმეს მადლობას უძღვნის ასოთ-აწყობას: ა. კალანდარიშვილს, გ. ბურჯანაძეს, ი. ბრძენიძეს, გ. ბოლქვაძეს; იმის გამო, რომ მათი უღმწვევა ვერბალის თავის დროზე, დაუბეკდავი ვამოსვლას.

სარედაქციო კოლეგია.